

## ნახტომის არსების შესახებ

(განვითარების თეორიის ერთი მომენტის გაგებისათვის)

როგორადაც არ უნდა იყოს გაგებული ცნება ამა თუ იმ ფილოსოფიურ კონცეფციაში, მისგან შეუძლებელია იმ ნიშნის გამორიცხვა, რომ იგი არის რაიმედან განსხვავებულის წარმოშობა. განვითარების ყოველმა კონცეფციამ განვითარების ბუნების დახასიათებისათვის უნდა გააკეთოს: 1) განვითარების მიზეზი ე.ი. რაც რაიმედან განსხვავებულის წარმოშობას შესაძლებელია და აუცილებელს ხდის; 2) ძველსა და ახალს შორის მიმართება ე.ი. ის, რაც დაგვიხასიათებს განვითარების მიმართულებას და 3) რაიმედან განსხვავებულის წარმოშობის გზა, წესი ე.ი. ის რაც გვიჩვენებს თუ როგორ, რა საშუალებით ხდება, ხორციელდება მოცემული გარკვეულობიდან ახალი გარკვეულობის წარმოშობა. ამ სამი პრობლემის გაურკვეველად თვითონ განვითარების ბუნება დარჩება აუხსნელი.

მატერიალისტური დიალექტიკისათვის, რომელსაც განვითარება ესმის როგორც თვისებრივად ახლის წარმოშობა, ზემოთ დასახელებული მესამე პრობლემა ასეთ სახეს მიიღებს: როგორ, რა წესით რის საშუალებით ხორციელდება ერთი

თვისებრიობიდან მეორეზე გადასვლის საშუალება? განვითარებაში თვისებრივი ცვლილებების წესის პრობლემა ჰეცელინთან და მარქსიზმში მოაზრებულია ნახტომის ცნების ქვეშ, მაიტომაც ნახტომის არსების დადგენა აუცილებელია განვითარების ბუნების სრული დახასიათებისათვის.

თვისებრივი ცვლილების წესის არსების გარკვევა გულისხმობს და ემყარება თვისებრივი ცვლილებების ცნებას. ამ უკანასკნელი ცნების ნათელსაყოფად ჩვენთვის აუცილებელია გავარკვიოთ შემდეგი პრობლემა: მარქსიზმი ფილოსოფიურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ განვითარება არის ერთი თვისებრიობის მეორეთი შეცვლა. ამასთანავე არსებობს მორე დებულებაც, რომ განვითარება არის ერთი კონკრეტული შინაგანი წინააღმდეგობის შეცვლა ახალი შინაგანი წინააღმდეგობით. ისმება კითხვა: ორივე ეს დებულება ჭეშმარიტია თუ არა? თუ ამ დებულებებიდან მხოლოდ ერთია ჭეშმარიტი, მაშინ ვდგებით მეორე კითხვის წინაშე: სახელდობრ, რომელი გამოხატავს განვითარების ცნებას? თუ ორივე დებულება ჭეშმარიტია, მაშინ ეს გარემოება მხოლოდ მათ შინაარსობრივ იდენტურობაზე მიუთითებს, ეს იდენტურობა კი შესაძლებელია დასაბუთდეს მხოლოდ ერთი გზით: თვისებრიობის და შინაგანი წინააღმდეგობის მიმართების ჩვენებით. ეს ცხადს გახდის, თუ რისი ცვლილების წესი უნდა გვქონდეს მხედველობაში თვისებრივი ცვლილების წესის შესახებ მსჯელობისას.

თვისებრიობა არის რაიმეს (საგნის, მოვლენის) არსებითი გარკვეულობა. „რაიმე თავისი თვისებრიობით არის ის, რაც არის

და თუ დაჰკარგა თავისი თვისებრიობა იგი მასთან ერთად აღარ იქნება ის, რაც იყო“. ეს ნიშნავს იმას, რომ თვისებრიობა სწორედ საგნის როგორობას გამოხატავს. „თვისებრიობა არარის ყველაფერი ის, რაც ძირეულია საგნისათვის, რომლითაც იგი სწორედ ეს არის და არა სხვა“. მატერიალისტური დიალექტიკა თვლის, რომ საგნის თვისებრიობას განაპირობებს მისი შინაგანი წინააღმდეგობა. ყოველი საგანი ასეთია და არა სხვაგვარი მისი შინაგანი წინააღმდეგობის გამო. საგნის განსაზღვრება, როგორც გაორებული ერთიანისა ნიშნავს იმას, რომ ყოველი საგანი წარმოადგენს სპეციფიკურ შინაგან წინააღმდეგობას.

1. ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, 1962 გვ.211.
2. ს. წერეთელი, ის. დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები თბილისი 1956. გვ.180

თვისებრივი ცვლილება უნდა განაპირობოს ერთი, კონკრეტული შინაგანი წინააღმდეგობის შეცვლა ახალი წინააღმდეგობით. რომელიმე კონკრეტული შინაგანი წინააღმდეგობის შეცვალ ნიშნავს მის გადაჭრას; ეს გადაჭრა წარმოადგენს მოცემული წინააღმდეგობის მოხსნას და ახალი წინააღმდეგობის დადგენას; ეს პროცესი არის რაიმეს სხვით უარყოფა, რაიმეს უარყოფა საპირისპირო გარკვეულობით. რადგანაც შინაგანი წინააღმდეგობა განსაზღვრავს საგნის თვისებრიობას, ამიტომ რაიმეს ასეთი შეცვლა წარმოადგენს სწორედ მისი თვისებრიობის შეცვლას.

ჩვენი აზრით, მხოლოდ ასე შეიძლება გამართლდეს ზემოთ მოყვანილი დებულებების ჭეშმარიტება, რომ: 1/განვითარება არის

ერთი თვისებრიობის მეორეთი შეცვლა და 2/განვითარება არის ერთი კონკრეტული წინააღმდეგობის შეცვლა ახალი წინააღმდეგობით.

რადგანაც ეს ასეა, მაშინ უნდა ითქვას ისევე, რომ თვისებრივი ცვლილების წესი არის კონკრეტული შინაგანი წინააღმდეგობის ახალი წინააღმდეგობით შეცვლის წესი. ნახტომი, როგორც განვითარების მომენტი, ჩვენს მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში გაგებულია, როგორც განვითარების ცვლილების წესი, რაც ნიშნავს მის წარმოდგენას ერთი წინააღმდეგობით მეორეთი შეცვლის წესადაც. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ნახტომის აფეთქებითი და არააფეთქებითი ფორმები გაგებულია სხვადასხვაგვარი შინაგანი წინააღმდეგობების ანტაგონისტური წინააღმდეგობის ცვლილების წესად. ნახტომი, როგორც თვისებრივი ცვლილების წესი უდრის კონკრეტული შინაგანი წინააღმდეგობის ახალი წინააღმდეგობით შეცვლის წესს.

ნახტომის არსების შესახებ საკითხი სწორედ ამ ამოსავალი წერტილიდან უნდა დაისვას. ნახტომის არსების დადგენა ნიშნავს განვითარებაში თვისებრივი ცვლილების წესის არსებითი გარკვეულობის დადგენას. შეიძლება მივუთითოთ რამდენიმე მომენტზე, რომლებიც სხვადასხვა ასპექტიდან გამოდგებიან ნახტომის არსებითი გარკვეულობის დადგენის კრიტერიუმებად. ნახტომის არსებითი გარკვეულობა იქნება ის, რაც 1/მოქმედებს განვითარების პროცესში, როგორც ერთი თვისებრიობიდან მეორეზე გადასვლის საშუალება 2/ განსაზღვრავს თვისებრივი ცვლილებების წესის სხვა ნიშანია აუცილებლობას; 3/ თავისი ბუნებით განპირობებული იქნება

შინაგანი წინააღმდეგობით, როგორც განვითარების მეზეხეით; 4/ იქნება თვისებრივი ცვლილების სხვადასხვა ფორმით განხორციელების შესაძლებლობის შემცველი. ნახტომის როგორც თვისებრივი ცვლილების წესის, არსება თავის თავს უნდა ამართლებდეს სწორედ ამ კრიტერიუმთა ფონზე.

მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში ნახტომს სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ, როგორც: 1/ წყვეტს უწყვეტობაში 2/ ზომათა საკვანძო პუნქტს 3/ ერთი თვისებრიობიდან მეორეში გადასვლას 4/ რაიმეს სხვით უარყოფას 5/ რაოდენობრივი ცვლილების საფუძველზე თვისებრივი ცვლილების წარმოშობას 6/ განვითარებაში თვისებრივი შუალედური საფეხურების გამორიცხვას ან როგორც 7/ ნახტომის დეფინიციისას იღებენ ამ განსაზღვრულობათაგან რამდენიმეს ერთად.

ჩვენი აზრით, ამ განსაზღვრულობათაგან ყველა არ წარმოადგენს თვისებრივი ცვლილებების წესის განსაზღვრულობას. მათი წარმოდგენა, როგორც ნახტომის არსებითი გარკვეულობისა, გარკვეულ შეცდომებს ბადებს: 1/ ნახტომის არსებად რაიმეს სხვით უარყოფის მიღება ნახტომს აქცევს განვითარებაში უარყოფის მომენტად. 2/ ნახტომის არსებად ერთი თვისებრიობიდან მეორეზე გადასვლის მიღება ნახტომს აქცევს განვითარების იდენტურად, რადგანაც განვითარება სწორედ ერთი თვისებრიობიდან მეორეზე გადასვლაა, 3/ ნახტომის არსებად რაოდენობრივი ცვლილებების ბაზაზე თვისებრივი ცვლილების წარმოშობის მეჩნევა ნახტომს აქცევს დიალექტიკის ერთ-ერთ ძირითადი კანონის იდენტურად, 4/ არ არის სწორი არც ნახტომის ისეთი დეფინიცია, როგორც

ჩამოყალიბებული აქვს გ. ლემს, და რომლის მიხედვითაც „ნახტომის არის ძველის თვისებრიობიდან ახალ თვისებრიობაზე გადასვლის კანონზომიერი პროცესი, რომელსაც ამზადებს წინამავალი რაოდენობრივი ცვლილებანი, ნახტომი ხორციელდება საგნებისა და მოვლენების წინააღმდეგობათა გადაჭრის გზით, და ბუნებისა და საზოგადოების განვითარების საერთო ტენდენციეს გამოხატავს“. ავტორის აზრით ნახტომი ეს განსაზღვრება გვიჩვენებს: ა/ რაოდენობრივ და თვისებრივ ცვლილებათ ურთიერთმიმართების ხასიათს; ბ/ მემკვიდრეობით კავშირს ძველსა და ახალს შორის და გ/ განვითარების შინაგან იმპულს – დაპირისპირებულთა ბრძოლას. სწორედ ესაა ნახტომის ამ განსაზღვრების ძირითადი ნაკლი. ნახტომი აქ გატოლებულია განვითარების სამი ძირითადი კანონის გარკვეულობებთან. ცხადია, ნახტომს როგორც თვისებრივი ცვლილების წესს მიმართება აქვს განვითარების სამივე კანონთან, ადგანაც: 1/ თვისებრივი ცვლილების წესი არის რაოდენობრივი ცვლილებების ბაზაზე თვისებრივი ცვლილებების წარმოშობის კანონის მომენტი; 2/ თვისებრივი ცვლილებების წესი განსაზღვრულია საგნის შინაგანი წინააღმდეგობით, როგორც განვითარების მიზეზით; 3/ განვითარების რეზულტატი ახალი ნახტომის შედეგია, რომელიც ძველის ნიადაგზეა წარმოშობილი, მაგრამ ნახტომის ეს გარკვეული მიმართება განვითარების კანონებთან არ ნიშნავს ამ კანონებისა და ნახტომის იდენტურობას, როგორც ეს გ. ლემის გამოუდის. შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ ნახტომის გ. ლემისეული განსაზღვრება დამყარებულია არა იმ ბაზაზე, რომლის მიხედვითაც ნახტომი თვისებრივი ცვლილების წესია, არამედ

სულ სხვა ბაზაზე. მაგრამ ასეთი დაშვების წინააღმდეგ თვითონ ავტორის შემდგომი მსჯელობა მეტყველებს გ. ლემი ცდილობს მოგვცეს ნახტომის სპეციფიკურ ფორმათა დიფერენციაცია საზოგადოების განვითარებაში და მიუთითებს აფეთქებით და არააფეთქებით ნახტომებზე, როგორც სპეციფიკურ ფორმებზე. ამასთანავე იგი აღნიშნავს, რომ ეს ფორმები გამოხატავენ განსხვავებულ გზებს, რომელსაც ერთი თვისებრიობა გადადის ახალ თვისებრიობაში. ნახტომის ფორმებად აქ გაგებულია სწორედ თვისებრივი ცვლილების წესის ფორმებით: რისთვისაც გამოხატული უნდა იყოს ნახტომის, როგორც თვისებრივი წესის გაგება. მაგრამ ნახტომის ამგვარ გაგებასთან უკვე ლოგიკურად შეუთავსებელია ნახტომის ღმისეული განსაზღვრება. სწორია გ. ლემის აზრი რომ ნახტომის სხვადასხვა ფორმის სპეციფიკურობის საფუძველს წარმოადგენს წინააღმდეგობის სპეციფიკურობა, მაგრამ, როგორც ენახეთ, წინააღმდეგობა მასთან თვითონ ნახტომის მომენტადაა გამოცხადებული. გამოდის რომ წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, ნახტომის მომენტია ხოლო, მეორე მხრივ, ნახტომისაგან განსხვავებული გარკვეულობაა და თვითონ ნახტომის სპეციფიკურობის საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენ მიერ განხილულ – გარჩეულ განსაზღვრულობათა მიჩნევა ნახტომის არსებათ უნდა ჩაითვალოს გარკვეულ ალოგიზმათ: ნახტომის შესახებ პრობლემა დასმულია იმ ბაზაზე, რომ ნახტომი მიღებულია თვისებრივი ცვლილების წესად, ხოლო ნახტომის დეფინიციისას მის არსებად წამოყენებულია ისეთი განსაზღვრულობანი, რომლებიც საერთოდ არ წარმოადგენენ თვისებრივი ცვლილების წესის განსაზღვრულობას.

ყველაზე მთავარი შეცდომა ნახტომის შესახებ მსჯელობისას ისაა, რომ მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში ხშირად ერთმანეთში არეულია ორი ფაქტობრივი ვითარება: ა/ თვისებრივი ცვლილება და ბ/ თვისებრივი ცვლილების წესი. მსჯელობენ რა ნახტომზე, როგორც თვისებრივი ცვლილების წესზე, ნახტომს მიაწერენ ისეთ განსაზღვრულობის, რომლებიც თვისებრივი ცვლილებების განსაზღვრულობანია.

ამ ალოგიზმის ახსნა შეიძლება ნახტომის ცნების ევოლუციაზე მითითებით. პირველი, ვინაც განიხილა ნახტომის პრობლემა იყო ჰეგელი. 1/ ჰეგელმა ნახტომის ცნება წამოაყენა განვითარებაში განუწყვეტლობის პრინციპის გააბსოლუტურების მეტაფიზიკური კონცეფციის წინააღმდეგ. განუწყვეტლობის ცნება ჰეგელამდე ფილოსოფიაში გაგებული იყო როგორც რაოდენობრივი ცვლილებების ე.ი. მეტაფიზიკური გაგებით, როგორც განვითარების ცნების იდენტური. ჰეგელი ებრძვის განვითარების ამგვარ გაგებას ჰეგელისათვის განვითარება არის ისეთი გარკვეულობის წარმოშობა, რაც არ იყო რაოდენობრივი ცვლილება. განვითარება არის რაიმედან თვისებრივად განსხვავებულის წარმოშობა სწორედ ეს მომენტია „დაჭერილი“ ჰეგელთან ნახტომის ცნებაში. ნახტომი ჰეგელთან უდრის თვისებრივ ცვლილებას. უნდა შევნიშნოთ, რომ ნახტომის პრობლემა ჰეგელთან არაა ისე ამომწურავად გარჩეული, როგორც დიალექტიკის სხვა კატეგორიები საკმარისია იმაზე, რომ მცირე ლოგიკაში ნახტომი საერთოდ არაა ფიქსირებული ჩვენი აზრით, ნახტომის ცნება ჰეგელის ფილოსოფიაში გარკვეულად მაინც ორაზროვნადაა მოხმარებული. ჰეგელს ნახტომი ესმის, როგორც თვისებრივი ცვლილება, მაგრამ

ამასთანავე ნახტომის მიაწერს ისეთ გარკვეულობებს როგორცაა წყვეტი უწყვეტობაში, ზომათა საკვანძო პუნქტი, განვითარებაში თვისებრივად შუალედური საფეხურების გამორიცხვა, რომლებიც სწორედ თვისებრივი ცვლილების წესის განსაზღვრულობებს წარმოადგენენ. დიალექტიკურ მატერიალიზმში ნახტომის ცნება მოხმარებულია სწორედ როგორც თვისებრივი ცვლილების წესის გამომხატველი. მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში ნახტომის შესახებ მსჯელობენ როგორც თვისებრივი ცვლილებების წესის შესახებ. მაგრამ, როგორც ითქვა, ხშირად ნახტომს მიაწერენ ისეთ გარკვეულობებს, რაც თვისებრივი ცვლილების წესის გარკვეულობა კი არა, არამედ თვისებრივი ცვლილების გარკვეულობაა. სწორედ ასეთი ვითარება უნდა დახასიათდეს, როგორც გარკვეული ალოგიზმი.

რაც შეეხება ნახტომის ისეთ განსაზღვრულობებს, როგორცაა: წყვეტი უწყვეტობაში, ზომათა საკვანძო პუნქტი, განვითარებაში თვისებრივად შუალედური საფეხურების გამორიცხვა, ისინი წარმოადგენენ ნახტომის არარსებით მომენტებს ამ განსაზღვრულობებიდან არც ერთი არ შეიძლება მივიჩნიოთ ნახტომის არსებად, რადგანაც:

1. ნახტომის არსებითმა განსაზღვრულობამ უნდა დაგვიხასიათოს ის, რაც მოქმედებს განვითარებაში, როგორც ერთი თვისებრიობიდან მეორე თვისებრიობამდე გადასვლის საშუალება, ან, რაც იგივეა, ერთი კონკრეტული შინაგანი წინააღმდეგობიდან მეორეზე გადასვლის საშუალება. ნახტომის, როგორც თვისებრივი ცვლილების წესის, არსება უნდა იყოს ის, რითაც ხორციელდება მოცემული წინააღმდეგობის გადაჭრა,

მისი მოხსნა, ახალი წინააღმდეგობის დადგენა და ა.შ. წყვეტადობას, ზომათა საკვანძო პუნქტს და განვითარებაში შუალედური საფეხურების გამორიცხვას სწორედ თავიანთი ბუნების გამო არ შეიძლება ასეთი გარკვეულობა მივაწეროთ. დასახელებული განსაზღვრულობანი თვითონ საჭიროებენ განმაპირობებელ საფუძველს ნახტომის არსებითი გარკვეულობის სახით:

ა/ წყვეტი ნამდვილი აზრით წარმოადგენს უწყვეტობის შეწყვეტას, რა არის უწყვეტობა? უწყვეტობა არის რაოდენობრივი ცვლილებების წესის ზრდა-კლების ერთ-ერთი მომენტი. ზრდა-კლება, როგორც რაოდენობრივი ცვლილების წესი, არ დაიყვანება უწყვეტობაზე. უწყვეტობა მისი ერთ-ერთი მომენტია. უწყვეტობის შეწყვეტა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა განვითარებაში აღარ ფუნქციობს ზრდა-კლება. როცა რაოდენობრივი ცვლილების ბაზაზე იწყება რაიმეს თვისებრივი ცვლილება, ზრდა-კლება ადგილს უთმობს თვისებრივი ცვლილების წესს,-იმას, რაც წარმოადგენს ერთი თვისებრიობის მეორეში გადასვლის საშუალებას. წყვეტადობის ნამდვილი აზრი უწყვეტობის შეწყვეტაა. რასაც ცხადია არ შეუძლია ახსნას, თუ როგორ გადადის ერთი თვისებრიობა ახალ თვისებრიობაში, როგორ გადაიჭრება მოცემული წინააღმდეგობა და ა.შ. წყვეტითი არის თვისებრივი ცვლილების წესის მომენტი, მაგრამ არა არსებითი მომენტი. თვისებრივი ცვლილების წესის არსება თავისი ბუნებით უწყვეტობის გამორიცხვას გამორიცხავს უნდა მოითხოვდეს და ამდენად, ინდა აპირობებდეს წყვეტს, როგორც ნახტომის ერთ-ერთ მომენტს. წყვეტი ნახტომის მომენტშია და არა არსება, რადგანაც წყვეტი მხოლოდ განუწყვეტლობის

გამორიცხვაა და არა მოცემული საგნის შინაგანი წინააღმდეგობის შეცვლა ახალი წინააღმდეგობით.

ბ/ ზომათა საკვანძო პუნქტი ნამდვილი აზრით წარმოადგენს საზღვარს ორ გარკვეულ ზომას შორის. მაგრამ ეს მომენტი ვერ დაგვიხასიათებს იმ გზას, რითაც ერთი თვისებრიობა გადადის ახალ თვისებრიობაში. ზომათა შორის საზღვრის მომენტი არ შეიძლება იყოს შინაგანი წინააღმდეგობის გადაჭრის, ახალი წინააღმდეგობის დადგენის და ა.შ. საშუალება ის, რაც თვისებრივი ცვლილების წესის არსებაა, თავისი ბუნებით უნდა წარმოადგენდეს საზღვარსაც ორ გარკვეულ ზომას შორის. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ ზომათა საკვანძო პუნქტი ნახტომის მომენტია, მაგრამ არაარსებითი მომენტი. ზომათა საკვანძო პუნქტი თვითონ არის განპირობებული ნახტომის არსებით.

გ/ განვითარებაში შუალედურია საფეხურების გამორიცხვა, თავისი ნამდვილი აზრით, ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ გარკვეულ თავისებურობისა დამ ის ბაზაზე წარმოშობილ ახალ თვისებრიობას შორის თვისებრივად შუა საფეხური არ არსებობს. მაგრამ ამას არ შეუძლია, დაგვიხასიათოს ის გზა, რითაც ერთი თვისებრიობა გადადის მეორეში. განვითარებაში შუალედური საფეხურების გამოტოვება ნახტომის მომენტია, მაგრამ არა მისი არსება. თვისებრივი ცვლილების წესის არსება თავისი ბუნებით უნდა მოითხოვდეს ორ თვისებრიობას შორის მესამე თვისებრიობის გამორიცხვას. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ განვითარებაში შუალედური საფეხურების გამორიცხვა ნახტომის ისეთი მომენტია, რომელიც ნახტომის არსებითაა განპირობებული.

ამდენად: ა/ წყვეტობაც, ზომათა საკვანძო პუნქტიც და განვითარებაში შუალედური საფეხურების გამორიცხვაც წარმოადგენენ ნახტომის მომენტებს: ბ/ ეს მომენტები წარმოებული მომენტებია, რომლებიც ახსნილ უნდა იქნენ ნახტომის ძირითადი გარკვეულობის საფუძველზე; გ/ ამ მომენტებს არ შეუძლიათ ნახტომის დეფინიციისადმი თვითონ დეფინიციის ბუნებიდან წაყენებული ძირითადი მოთხოვნის რეალიზაცია, რომლის მიხედვითაც, ნახტომის არსებითი განსაზღვრულობა უნდა გვიხასიათებდეს განვითარებაში თვისებრივი ცვლილების გზის როგორობას. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია ამ გარკვეულობათაგან რომელიმე წარმოვიდგინოთ ნახტომის არსებითი განსაზღვრულობად.

2. ის, რაც ნახტომის მოცემულ დეფინიციებში ნახტომის ძირითად განსაზღვრულობადაა წარმოდგენილი, არ შეიძლება ნახტომის არსებით გარკვეულობად ჩაითვალოს, რადგანაც ვერც ერთი ამ განსაზღვრულობათაგანი ვერ გვიხასიათებს ნახტომის სხვა მომენტთა აუცილებლობას, რაიმეს არსებითი გარკვეულობა კი სწორედ ამ რაიმეს სხვა მომენტთა მომთხოვნი, საფუძველი და განმსაზღვრელი უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ის, რაც თვისებრივი ცვლილების წესის არსებაა, უნდა აპირობებდეს ნახტომის სხვა მომენტებს, როგორცაა: ზომათა საკვანძო პუნქტი, განვითარებაში თვისებრივად შუალედური საფეხურის გამორიცხვა, კავშირი ძველსა და ახალ თვისებრიობას შორის. ნახტომის არსებითი გარკვეულობა ყველა ამ მომენტის განმსაზღვრელი უნდა იყოს. მაგრამ

ა/ წყვეტი, რადგანაც იგი მხოლოდ განუწყვეტლობის გამორიცხვაა, არ შეიძლება ამავე დროს წარმოადგენდეს ზომათა შორის კავშირსაც;

ბ/ ზომათა საკვანძო პუნქტი, რადგანაც იგი მხოლოდ ზომათა შორის საზღვარია, არ შეიძლება, მაგალითად, ნიშნავდეს განვითარებაში თვისებრივად შუალედური საფეხურების არარსებობას. ეს ასეა, რადგანაც საზღვარი შეიძლება არსებობდეს თვისებრივად შუალედური საფეხურების არსებობის აღიარების დროსაც.

გ/ ნახტომის, როგორც თვისებრივი ცვლილების წესის, არსებითი გარკვეულობის ამგვარობა და არა სხვაგვარობა განპირობებული უნდა იყოს განვითარების მიზეზით, - შინაგანი წინააღმდეგობით. ის, რაც აპირობებს განვითარებას აუცილობლობას, უნდა განსაზღვრავდეს იმასაც, რომ თვისებრივი ცვლილება განხორციელდეს სწორედ ამგვარი და არა სხვაგვარი წესით, რადგანაც არც წყვეტი უწყვეტობაში , არც ზომათა საკვანძო

პუნქტი, არც განვითარებაში შუალედური საფეხურების გამორიცხვა, როგორც ეს ზემოთ ვახვენეთ, არ წარმოადგენს ერთი, კონკრეტული წინააღმდეგობის გადაჭრის და ახალი წინააღმდეგობის დადგენის საშუალებას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შინაგანი წინააღმდეგობა, როგორც განვითარების მიზეზი, აპირობებს ნახტომის ამ გარკვეულობის გაშუალებულად. ნახტომის, როგორც თვისებრივი ცვლილებების წესის, არსება შინაგანმა წინააღმდეგობამ უნდა განაპირობოს უშვალოდ, როგორც მისი გადაჭრის, მოხსნის და ახალი წინააღმდეგობის

დადგენის საშუალება. ამ კრიტერიუმის ფონზეც ნახტომის ზემოთ მოყვანილი დეფინიციების ნაკადი საკვებით ნათელია.

4/ ის, რაც ნახტომის მოცემულ დეფინიციებში ნახტომის არსებით გარკვეულობადაა წარმოდგენილი, ნამდვილად არ შეიძლება ნახტომის ძირითად განსაზღვრულობათა დადგენად ჩაითვალოს, რადგანაც ეს განსაზღვრებანი თავიანთი ბუნების გამო ვერ გვიდგენენ თვისებრივი ცვლილების სხვადასხვა ფორმით განხორციელების შესაძლებლობას. ის, რაც თავისი გარკვეულობით ერთი თვისებრიობიდან ემორე თვისებრიობაში გადასვლის წესია, უნდა შეიცავდეს ამ გადასვლის სხვადასხვაგვარობის შესაძლწვლობას.

ნახტომის ძირითადი განსაზღვრულობად, ზემოთ მოცემულ გარკვეულობათა მიღების შემთხვევაში, ნახტომის ფორმათა გამოყვანა არ უნდა იყოს შესაძლებელი.

წყვეტს სწორედ იმის გამო, რომ იგი თავისი რაობით მხოლოდ უწყვეტობის მოხსნაა, არ შეუძლია იმის აუცილებლობის ახსნა, რომ ერთი თვისებრიობიდან მეორეზე გადასვლა შესაძლებელია სხვადასხვა გზით, სხვადასხვა ფორმით ან, რაც იგივე იქნებოდა, სხვადასხვაგვარი წყვეტით. შეუძლებელია წყვეტის სხვადასხვაგვარი განხორციელება.

ასევე ითქმის ნახტომის, როგორც განვითარებაში შუალედური საფეხურების, გამორიცხვის შესახებ. თვისებრობათა შორის შუალედური საფეხურების გამორიცხვა მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ განვითარების პროცესში გარკვეულ თვისებრიობასა დამ ის ნიადაგზე წარმოშობილ ახალ თვისებრიობას შორის არ უნდა იყოს სხვა, მესამე თვისებრობა.

მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ შუალედური საფეხურების გამორიცხვა მხოლოდ ამ ვითარების ამსახველია, შეუძლებელია მასზე დაყრდნობით ნახტომის სხვადასხვა ფორმის შესახებ მსჯელობა. შუალედური საფეხურების გამორიცხვა არ შეიძლება სხვადასხვაგვარობის შესაძლებლობას შეიცვდეს, რადგანაც იგი მხოლოდ იმას ასახავს, რომ განვითარების ორ საფეხურს შორის თვისებრივად შუალედურ განვითარებაში, ერთი თვისებრიობიდან მეორეში გადასვლის დროს, თვისებრივად შუალედური საფეხურების გამორიცხვა შეუძლებელია სხვადასხვაგვარად ხორციელდებოდეს, ამდენად, შეუძლებელი უნდა იყოს მის ფორმებზე მსჯელობა. ეს იქნება გარკვეული ალოგიკურობა. ნახტომის სხვადასხვა ფორმის დასაბუთება ამ ამოსავალი პრინციპიდან არაა შესაძლებელი. მაგრამ მარქსისტულ ფილოსოფიურ ლიტერატურაში ხშირად, ერთ მხრივ, ნახტომის არსებით გარკვეულად წარმოადგენენ სწორედ შუალედური საფეხურების გამორიცხვის მომენტს, ხოლო, მეორე მხრივ, მიუთითებენ, რომ ნახტომი; ე.ი. შუალედური საფეხურების გამორიცხვა, წარმოადგენს, მაშინ ნახტომის ფორმების შესახებ მსჯელობა ნიშნავს იმა, რომ აფეთქება ან მისი საპირისპირო არა აფეთქება ახასიათებს სწორედ შუალედური საფეხურების გამორიცხვას, უფრო ზუსტად: ასეთი მსჯელობით დაშვებული, რომ თვისებრიობათა შორის შუალედური საფეხურების გამოტოვება შეიძლება შესრულდეს სხვადასხვა ფორმით, მაგრამ იმას, რომ ორ თვისებრიობას შორის მესამე არ არის არ შეიძლება თავისი ფორმები ჰქონდეს. ყოველი ანალოგიური მსჯელობისას დაშვებულია ასეთი შეცდომა: 1/ან ნახტომი, როგორც

განვითარების მომენტი არ უდრის თვისებრივი ცვლილებების წესს და მაშინ გამოსავალი დებულება, რომ ნახტომი თვისებრივი ცვლილების წესია, უნდა მოგხსნათ. აგრამ მისი მოხსნით უნდა მოიხსნას თვითონ ნახტომის არააფეთქებითი და აფეთქებითი ფორმების შესახებ პრობლემაც, რადგანაც ეს პრობლემა სწორედ თვისებრივი ცვლილების წესის სხვადასხვა ფორმის საფუძვლად მიღებულია ის, რაც არ არის ამ წესის არსებითი გარკვეულობა და რისგანაც ლოგიკურად არ გამოიყვანება და რისგანაც ლოგიკურად არ გამოიყვანება ნახტომის, როგორც თვისებრივი ცვლილებების წესის, სხვადასხვა ფორმა.

თვისებრივი ცვლილების განხორციელების სხვადასხვა ფორმის შესაძლებლობას არ შეიცავს არც ზომათა საკვანძო პუნქტი თვისის არსებით არის მხოლოდ საზღვარი ზომებს შორის. ჩხადია, რომ მას არ სეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ფორმ. შესაძლებელია საზღვარი სხვადასხვა ზომას შორის, მაგრამ ეს არაა სხვადასხვაგვარი ბუნების საზღვარი. ახტომის როგორც თვისებრივი ცვლილების წესის არსებითი გარკვეულობა უნდა იყოს ის, რაც თავისი იმანენტური შინაარსით თვისებრივი ცვლილებების განხორციელების სხვადასხვა ფორმის შემცველი იქნება. ახტომის გემოთ მოცემული დეფინიციები ამ კრიტერიუმის ფონზეც ვერ ამართლებენ თავიანტ თავს.

ჩვენი აზრით, ნახტომის არსება არის უარყოფის სპეციალური სახე, თვითუარყოფა. თვითუარყოფა არის შინაგანი წინააღმდეგობის ერთი, მომსხნელი მხარის მიერ მიცემული წინააღმდეგობის მეორე, საპირისპირო მხარის მოხსნა, ამით თვითონ თავისი თავის მოხსნაც (რადგანაც დაპირისპირებულნი

ერთმანეთის საფუძველზე არსებობენ) და ამით მთელი წინააღმდეგობის მოხსნაც.

თვისებრივი ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ თვითუარყოფის წესით. ეს განხორციელებულია განვითარების მიზეზით. რადგანაც: 1) განვითარების მიზეზი შინაგანი წინააღმდეგობაა, ე.ი. გაორებული ერთიანის მხარეთა გარკვეული მიმართებაა, ხოლო 2) განვითარება არის შინაგანი წინააღმდეგობის შეცვლა, ე.ი. გაორებული ერთიანის მხარეთა და იგივეა ის, რაც განვითარების მიზეზია და რისი შეცვლაც განვითარებას ნიშნავს, მაშინ 3) ახლის წარმოშობა, იმის წარმოშობა რაც არ იყო, აუცილებლად უნდა განხორციელდეს შინაგანი წინააღმდეგობის მიერ თავისი თავის უარყოფის, თვითუარყოფის წესით, გაორებული ერთიანის მხარეთა გარკვეული მიმართებით. მოცემული წინამძღვრებიდან სხვაგვარი დასკვნის გაკეთება შეუძლებელია.

თვითუარყოფა არის ის, რაც მოქმედებს განვითარების პროცესში, როგორც ერთი თვისებრიობის მეორეთი შეცვლის საშუალება. თუ თვითუარყოფას გამოვრიცხავთ, მაშინ ასეთი შეცვლის საშუალება გამირიცხება და პირიქით – თვითუარყოფა არსებობს როგორც თვისებრივი ცვლილების წესი, ასეთი რამ კი არ შეიძლება ნახტომისათვის არსებითი არ იყოს. თვითუარყოფა არის ის, რითაც ხორციელდება რაიმეს შინაგანი წინააღმდეგობების გადაჭრა, მისი მოხსნა და ახალი წინააღმდეგობის დადგენა. თვითუარყოფა სწორედ თვისებრივი ცვლილების წესის არსებაა.

თვითუარყოფა არის ის, რაც აპირობებს ნახტომის სხვა მომენტთა აუცილებლობას. ა / თვითუარყოფა, სწორედ იმით,

რომ იგი არსებული თვისებრიობის, არსებული შინაგანი წინააღმდეგობის მოხსნის საშუალება! წარმოადგენს წყვეტს უწყვეტობაში. ბ / თვითუარყოფა სწორედ იმით, რომ იგი არის არსებული თვისებრიობის უარყოფის საშუალება წარმოდაგნეს ზომათა საკვანძო პუნქტს, თვითუარყოფით იხსნება ერთი ზომდა და დგინდება მეორე.

გ / თვითუარყოფა, სწორედ იმით, რომ იგი ძველის ახსნას და ახლის დადგენის საშუალებაა, წარმოადგენს ორ თვისებრიობას შორის თვისებრივად შეუღლებური საფეხურის გამორიცხვას.

დ / თვითუარყოფა, სწორედ იმით, რომ იგი არის ერთი თვისებრიობიდან მეორეზე გადასვლის საშუალება, წარმოადგენს ზომათა შორის კავშირს. თვითუარყოფა ნახტომის არსებობაა, საიდანაც იგი აპირებს ნახტომის სხვა მომენტებს.

თვითუარყოფა ისეთი გარკვეულობაა, რომელიც თავისი იმანენტური შინაარსით შეიცავს თვისებრივი ცვლილების განხორციელების შესაძლებლობას სხვადასხვა ფორმით. განვითარების პროცესში ყოველი კონკრეტული წინააღმდეგობის შეცვლა ახალი წინააღმდეგობით კონკრეტული ფორმით ხორციელდება. ჩვენ ზემოთ ვაჩვენეთ, რომ ნახტომის არსებულ დეფინიციებში ნახტომის არსებით გარკვეულობებად მიჩნეული განსაზღვრულობანი თავიანთი იმანენტური შინაარსით ვერ ასაბუთებენ თვისებრივი ცვლილების წესის სხვადასხვა ფორმის განხორციელების შესაძლებლობას. თვითუარყოფა, როგორც წინააღმდეგობის ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მოხსნა და ამით თავისი თავისა და მთელი წინააღმდეგობის მოხსნაც, შეიცავს სხვადასხვაგვარი განხორციელების შესაძლებლობას.

ნახტომის სპეციპიკურობაში სწორედ თვითუარყოფის სპეციპიკურობა იგულისხმება. შესაძლებელია, რომ წინააღმდეგობის ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მოხსნა განხორციელდეს სხვადასვა ფორმით. ნახტომი ორი ფორმით. ეს დამოკიდებულია იმ წინააღმდეგობის ბუნებაზე, რომელიც უნდა მოიხსნას. როგორც ფ.ენგელსი მიუთითებდა, ყოველი საგანი უნდა უარყოს სპეციფიკური ფორმით, რაც განსაზღვრულია ერთი-პროცესის ზოგადი და მეორე-პროცესის განსაკუთრებული ბუნებით. პროცესის ზოგადი ბუნების ქვეშ აქ გაგებულია ის, ფ.ენგელსი, ანი-დიურიინგი, თბილისი 1952,წ გვ.158.

რის ძალითაც აუცილებელია საგნის უარყოფა, ე.ი. საგნის შინაგანი წინააღმდეგობა, ხოლო პროცესის განსაკუთრებული ბუნების ქვეშ აქ გაგებულია წინააღმდეგობის ის სპეციფიკური ხასიათი, რომლის ძალითაც საგანი სწორედ ასე და არა სხვაგვარად უნდა იქნეს უარყოფილი. ეს სპეციფიკურობა განსაზღვრავს იმას, თუ როგორ განხორციელდება თვითუარყოფა, ე.ი. წინააღმდეგობის ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მოხსნა და ამით თავის თავის მოხსნაც. თვითუარყოფა, სწორედ იმიტომ, რომ იგი ასეთი გარკვეულობისაა, მოიცავს მისი სხვადასხვაგვარად განხორციელების შესაძლებლობას. შეიძლება მეტიც ითქვას, ნახტომის სპეციფიკურობის პრობლემის დასმა მხოლოდ იმ ბაზაზე შეიძლება, თუ ნახტომის არსებით განსაზღვრულობად თვითუარყოფას მივიღებთ ნახტომის არსებით განსაზღვრულებათ იმ გარკვეულობათა მიღებისას, რომლებიც ნახტომის არსებულ დეფინიციებშია მოცემული, საერთოდ უნდა მოიხსნას ნახტომის სხვადასხვა სპეციფიკური ფორმის პრობლემა (რაც თვისებრივი ცვლილების

სხვადასხვაგვარი განხორციელების საწინააღმდეგო იქნება), რადგანაც: 1/ წყვეტს, ზომათა საკვანძო პუნქტის განვითარებაში შუალედური საფეხურების გამოხატულობას, როგორც ეს ზემოთ ვაჩვენეთ, არ შეიძლება სხვადასხვა ფორმით არსებობის შესაძლებლობა მივაწეროთ და 2/ თვისებრიობრივი ცვლილების განხორციელების სხვადასხვა ფორმა განპირობებულია წინააღმდეგობის სპეციფიკურობით, ხოლო ნახტომის არსებულ დეფინიციებში ნახტომის არსებით გარკვეულობებად მიჩნეული განსაზღვრულობანი არ არიან დაფუძნებულნი შინაგან წინააღმდეგობაზე. თუ ნახტომს აქვს განსხვავებული ფორმები და თუ ეს ფორმები შინაგანი წინააღმდეგობის სპეციფიკურობაზე არიან დაფუძნებულნი, მაშინ ნახტომის არსებით გარკვეულობად მხოლოდ თვითუარყოფის მიღებაა შესაძლებელი, რადგანაც მხოლოდ თვითუარყოფა შეიცავს განსხვავებული ფორმებით ნახტომის განხორციელების შესაძლებლობას. ამასთანავე, თვითუარყოფის აუცილებლობა დაფუძნებულია სწორედ შინაგან წინააღმდეგობაზე, როგორც განვითარების მიზეზზე.

აფეთქებითი და არააფეთქებითი ნახტომები წარმოადგენენ ნახტომის სპეციფიკურ ფორმებს. ყველაზე არსებითი განსხვავება მათ შორის ის იქნება, რომ აფეთქებითი ნახტომი, როგორც ანტაგონისტური წინააღმდეგობის გადაჭრის წესი. არაძალდატანებითი გზით ახორციელებს წინააღმდეგობის გადაჭრას. აქ ჩვენ არ ვეხებით აფეთქებითი ნახტომის სხვა განმასხვავებელ ნიშნებს. ჩვენთვის აქ მთავარია იმის აღნიშვნა, რომ თვითუარყოფა შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა

ფორმით, როგორც განსხვავებულ წინააღმდეგობათა გადაჭრის წესი.

ამდენად, თვითუარყოფა უნდა მივიჩნიოთ ნახტომის, როგორც თვისებრივი ცვლილების წესის, არსებად, რადგანაც:

1/ თვითუარყოფის გამორიცხვა გამორიცხავს იმას, რაც მოქმედების განვითარებაში, როგორც ერთი თვისებრიობის მეორეში გადასვლის საშუალება და, პირიქით, თვითუარყოფა არსებობს, როგორც მხოლოდ თვისებრივი ცვლილების წესი; 2/ თვითუარყოფა განაპირობებს თვისებრივი ცვლილების წესის სხვა მომენტთა აუცილებლობას; 3/ თვისებრივი ცვლილების მხოლოდ თვითუარყოფითი განხორციელების აუცილებლობა განპირობებულია განვითარების მიზეზით, შინაგანი წინააღმდეგობის და 4/ თვითუარყოფა შეიცავს თვისებრივი ცვლილების სხვადასხვა ფორმით განხორციელების შესაძლებლობას.